თეატრი და ცხოვრება

თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომრი--10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს.

1919 წ. № 6 ორშაბათი, მაისის 26 | ფასი 10 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ზე წლიური ფასი 25 მან.

ძღვნად თავისუფალ სამშობლოს

(მაისის 26 სახსოვრად)

მოქალაქენო სამშობლო აღსდგა!! მოგილოცავთ 26 მაისს!



საქართველოს მთავრობა

მაღლა საქართველოს სახელმწიფო გერბი. **ნოე ნიკ. ჟორდანია** პრემიერმინისტრი და საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი; **ნოე რამიშვილი**—მინისტრი განათლების, სამხედრო და შინაგან საქმეთა; **ევგენი პ. გეგეჭკორი**—მინისტრი იუსტიციისა და გარეშე საქმეთა; **ნოე ხომერიკი**—მინისტრი მიწათმოქმედების, შრომის და გზათა; **კ. კანდელაკი**—მინისტრი **ვაჭრობა-მრეწველობის** და ფინანსთა.

დღე დიდებისა

ვისაც არა სწამს — ვერცა ცხონდებაო, ნათქვამია.

და ჩვენ განვმარტავთ: ვისაც თვისი ბედ-იღბლის წარმოება საკუთარ ხელთ არა აქვს, მარად მზე-ბნელია.

ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ამ აზრით სულდგმულობდა შორეული წარსულიდან, რომ მტერს ყოველივეს უთმობდა, გარდა თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებელ ცხოვრებისა. და იმ დღეს, როდესაც მტერთა ძლიერი ურდონი ამ თავისუფლებას უსპობდენ, მისთვის მზე აღარ მზეობდა..

და ბოლოს გვეღირსა გაზაფხული, გაზაფხული ნათელი სხივებით მოსილი

ეს იყო რუსეთის დიდის რევოლიუციის შემდეგ, 1918 წ. მაისის 26, როდესაც ჩვენის ქვეყნის მოკონახულეებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს...

აღსდგა ერი მრავალსაუკუნოვანი და მრავალტანჯული...

და განიხარა სულმან ჩვენმან...

თვით ერი ჩაება თავის ცხოვრების მოწყობის საქმეში, თვით ხალხი შეიქმნა თავისი ბედ-იღბლის მესაჭე.

ამიერიდან გაჰქრა ტანჯვა სულისა, წამება სხეულისა.

მართალია, ჯერ კიდევ ბევრი ავსული დასჩხავის ჩვენს თავისუფლებას, მართალია ჩვენი ცხოვრების ბევრი მხარე ჯერ კიდევ მოუწყობელია, მართალია, ჯერ კიდევ ბევრი სვავი დაგვტრიალებს ჩასაყლაპად და ჩვენის სამშობლოს სხვა და სხვა გვარტომით დასახლებული კუთხე-კუნჭული ჯერ კიდევ ურთიერთში ვერ შედუღაბებულა, ერთი მეორეს გულწრფელ ძმურად არ გადაჰხვევია, მაგრამ ეს დროც არც ისე შორსაა!..

თუ ჩვენის მამულიშვილთა მრავალსაუკუნეთა ნანატრი ოცნება დღეს ხორც შესხმულია, იმ დღესაც მოვესწრებით, რომ ჩვენი სამშობლო ძლიერი, ლამაზი, კეკლუცი, ყველას საყვარელი და ყველას მოყვარული მოშუქურვარსკვლავდეს!

ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა შარშან აშკარად იშვა, თავისუფლების სხივებმა მაისის 26 გამოგვიშუქა და ეს დღე აღარ მოკვდება..

აღარ მოკვდება მისი მონაპოვარი.

არა მგონია არც ერთი ცნობიერი ქართველი, არც ერთი საქართველოს ერთგული მოქალაქე, რომ ამა ბედნიერი, ბრწყინვალე დღის დადგომა არა სწამდეს, ხოლო ის ქართველი, რომელსაც ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, მკვდარია სულით, ბეჩავია რწმენით ადრევე დასამიწებელი!. სამარადისო ხსენება, ვინც ამ დიადი დღის გათენებას მარად შესტრფოდა და მსხვერპლად ეწირებოდა.

გაუმარჯოს, ვინც ამ დღის შედეგს ჩვენის ერის საბედნიეროდ განაბრწყინებს!.

შორს შიში და რიდი — ჯერ კიდევ შარშან ჩვენის ერის რჩეულმა შვილმა კარლო ჩხეიძემ საქვეყნოდ წარმოსთქვა ჩვენის საქციელისა არც გვეშინიან, არც გვრცხვენია, ხოლო ჩვენ დავუმატებთ — რაც უნდა შიში მოგველოდეს, მაინც გულს არ გავიტეხთ: თავისულება ვიგემეთ და მას თავცოცხალი აღარავის დავუთმობთ!..

დაე, „რაც გინდ ზამთარი ჰყინავდეს“ ჩვენს გულსა და გონებაში სამშობლოს თავისუფლების შენარჩუნების აზრი ბრწყინავდეს და მისთვის ვიბრძოდეთ!

სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი — ეს ჩვენმა სულმნათმა აკაკიმ გვასწავლა!

ყოფნა ლამაზი გვფერის. გველი ათეულ წლობით ცხოვრობს მაინც გველია, ხოლო პეპელამ სამი დღეც რომ იფრინოს, მარად საყვარელია!..

მაგრამ ჩვენ გვწამს ჩვენის ერის ბრწყინვალე დაცლეველი მომავალი და მის ერთგულ შვილთა მრავალფეროვანი შემოქმედება! — გაუმარჯოს ამ მომავალს!

ასეთის რწმენით გილოცავ სამშობლო ჩემო დიდების დღეს — მაისის 26-ს.

იოსებ იმედაშვილი

დავით ერისთავი
„სამშობლოს“ ავტ

მ. ბებუთაშვილი
„სამშ.“ დამდგმელი

დ. ერისთავმა პირველად 1881წ. სცენაზე გამოიტ. სამშობლოს აღდგენის იდეა და საქართველოს დროშა. დროშა რომ სცენაზედ გამოიტანეს დამსწრე ხალხი ფეხზე ადგა

ქართველი მსახიობი

ესეც შესრულდა ერთი წელიწადი საქართველოს სულ ახალის დამოუკიდებლობის და თავისუფლებისა.

ყველანი დღესასწაულობენ ამ დღეს... ეხლანდელი ბედნიერებიც...

ეს იმის გარდა, რომ სასიამოვნოა, სხვა ყველაზე განმამტკიცებელია იმედის!

მაგრამ ისე ვის შეეფერის მაინც ამ დღესასწაულით გახარება, როგორც ქართველ ხელოვანს: მწერალს, მუსიკოსს, მხატვარს და... განსაკუთრებით კი ქართველ მსახიობს.

ტანჯულები საქართველოს ბევრი ჰყავს. ეს თითქო არც ისე დასაქადნია, მაგრამ საამაყო კია. და თუ იეფენენ ტანჯულნი სულ ახლო წარსულში იდეისათვის, ტანჯულნი რწმენისათვის, მათ შორის ერთი დიდი ადგილი უთუოდ ქართველ მსახიობსაც უჭირავს.

განსხვავებაა თითქო ზერელე: იდეისათვის ტანჯულნი კატორღაში იგზავნებოდენ და საღრჩობელასაც არ ეცდენიან, მაგრამ რომელი კატორღა შედრება ქართველ მსახიობის მუშობას, რომელი საღრჩობელა იმ მუხრუჭებს, რომელსაც ეოველ-დღიური, ბრწყინული ცხოვრება ეელში უჭერდა ხელოვან მსახიობს.

ვინ იცის რომელი სჯობია?

მაგრამ არის მეორე განსხვავებაც: იდეისათვის ტანჯულებს აივსებდნენ მაინც, თან სასელო დიდების შარავანდედი ხალხის გულში არ მოშლია... მსახიობს კი.. სიხეში შედამოდნენ და ბირიდან თოფლი გაედმოსდიოდათ, გზისა ია და ვარდს უფენდნენ, გარდაშეტებულათაც გაადმერთებდნენ ხოლმე, მაგრამ ეს ეოველთვე ფუჭი იეო სხვა ახლად მოფლინებულ რომელიმე კერპთან შედარებით...

ქართველმა მსახიობმა მაინც თავისი გაიტანა. მას მე მგონი, არასდეს არ უნდა სდომოდა კერპთა გახდომა მიუხედავად იმისა, რომ ისმსახიობია და ძალიან უყვარს ეფექტები.

ის მაინც ეხლა გამარჯვებულებში ურევია და მის გულსა და გრძნობს სიამაყე ეხლა უნდა შესდგომოდეს.

ის, რასაც იგი აქამდე, როგორც ხელოვანი, შეიძლება ძალაუნებურათ ემსახურებოდა, უკვე აღსრულდა: „სამშობლოებმა!!“ „მტაცველებმა“ და სხ. აღსარდეს ხალხი, შეაყვარეს მათ საქართველო ქართული ენა, ქართული დროშა.

ეხლა კი იწყება... უნდა დაიწყოს მსახიობის სხვანაირი საქმიანობა. ის ეხლა უკვე თავის თავისთვის იცდის, ნამდვილ ხელოვნებისაოვის და ამის ნება მას უნდა მიეცეს, რადგანაც უკვე მოდელია პოლიტიკის სამსახურისთვის, მოდელია ამ კატეგორიით, ან სადრჩობელასთან...

ხოლო 26 მაისს, წლის თავზე საქართველოს პოლიტიკურად განთავისუფლებისა, ნება მიეცით ქართველ მსახიობ ამყოთ იდეესასწაულს ეს დღე.

შემდეგ კი სრულიად უნდა მიეცეს თავადურჯა ხელოვნების შჩქეფარე ტალღებს.

მაშინ კიდევ უფრო მეტის ზეიმდობით შესძახებს, რომ

გაუმარჯოს საქართველოს!

შალვა დადიანი

დღესასწაული

(26 მაისი)

დღეევანდლამდის მუნჯი ვიყავ
დღეს მეტყველობს ბაგე:
სიხართლით ტოკავს გული.
ტრფობით დავიდაგე
ჰა, მიეცა ჩემს სამშობლოს
თავის შნო და ფერი!...
გაიგონეთ ფეხზე დგება
ჩემი ტურფა ერი!...
წელია თავს ეკლის
არავ-ს არ ნებდება
მტრებსა ქედს არ უხრის
მას გმირულად ხვდება!..
გაუმარჯოს მის მცველთ
გვარდიას და და ჯარსა,
ჩვენი ქვეყნ-ს მცველებს,
ჩვენი ქვეყნის თვალსა!..
გაუმარჯოს ჩვენს ხალხს
და მის საქართველოს!..
თავდაცვისთვის გმირსა,
მუდამ სასახელოს!..

დ. ბანბათელი

კ. მესხი **ვ. გუნია** **კ. ყიფიანი**
მსახიობნი, რომელნიც იდეიურად ემსახურებოდნენ საქართველოს განთავისუფლებას.

თავისუფალი საქართველო

და მისი ეკლესია

ეს ორი ცნება დღემდე ერთ სხეულად იყო შედუღებული; ერთი მეორეში დაიბადა, ერთი მეორეს ზრდიდა, აცხოველებდა და ამოძრავებდა. ერთის თავისუფლება იყო მეორესი შვებალხენა, აყვავება და უალრესი ზეიმი.

საქართველომ ქრისტეს ეკლესიაში ჰპოვა და განასახიერა თვისი კულტურული ღირებულება. ქართველი ერი ერთი უძველეს ერთაგანია დედამიწაზე; მას დიდი ისტორიული გზა გაუვლია ქრისტეს დაბადებამდე, ის ოდესღაც დიდი ერიც ყოფილა, ვრცელი ტერიტორიაც სჭერია. მაგრამ წარმართულმა საქართველომ ვერ გაიდგა მაგრად ფესვები, მან ვერ გაავლო ცხოვრებაში ღრმა კვალი. ვერ შექმნა ისეთი რამ სახე, რომელიც წარუშლელად აღნიშნულიყო ისტორიის კაბადონებზე. ძველწარმართულ საქართველოზე ძლიერ ცოტა ცნობები გვაქვს, ხოლო რაცა გვაქვს, ისიც ბუნდოვანი და საცილობელი. მეცნიერებას ამ მხრივ მეტად ძნელი გზა უძევს წინ გასაკაფი, რომ რამოდენიმედ მაინც ნათლად წარმოგვიდგინოს ძველი საქართველოს კულტურული სახე.

სულ სხვაა საქართველო ქრისტიანობის ხანაში. ქრისტეს ემბაზში იშვა ქართველი ერი, აღორძინდა და აღიზარდა ახალ ცხოვრებისათვის. აქ ჩაისახა მისი მწერლობა, მწიგნობრობა, ფრთა გაშალა ხუროთმოძღვრებამ და საზოგადოდ ქართულმა ხელოვნებამ. ამისი უკვდავი ძეგლებით და ნაშთებით სავსეა დღევანდელი საქართველო. განათლებული კაცობრიობა საქართველოს იცნობს ჯერ-ჯერობით იმ ქრისტიანულ სიძველეებით, რომლებითაც ჩვენ წინაპართ შინ თუ გარეთ მოუფენიათ მთა-ბორცვები თუ მინდორ-ველნი, ან დაცულან საკუთარ თუ უცხოთა მუზეუმ-წიგნთ-საცავებში. ვერც ერთი ისტორიკოსი და მსწავლული ვერ დასწერს და იტყვის იმას, რასაც ეს ჩვენი კულტურული ნაშთები უსიტყვოდ ლაღადებენ. ესენი მოგვითხრობენ, რომ ქართველ ერს აქვს მდიდარი წარსული; ამ წარსულზე მას აღუდგენია თვისი აწინდელი ხელმწიფოება, იმედით იცქირება უკეთეს და განმტკიცებულ მომავალისაკენ..

ეს არის ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც გამოაფოლადა ქართველ ერის არსებაში ქრისტეს ღვთაებრივმა სჯულმა! აკი ქართველი ერიც ისე უფრთხილდებოდა თვისს სჯულს, როგორც თვალის ჩინს! სჯული და მამული ჩვენში სინონიმები იყვნენ! ასეთი შედულება ამ ორი სიწმინდისა ჰქმნიდა იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც დაგვისახა შოთამ: ,,ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო''!..

დიახ! ბევრი ჭირი და ვარამი გამოუვლია ჩვენს ერს, მაგრამ ის ვერ გასტეხა, ვერ დაიმორჩილა ვერაფერმა. ჯვარი იყო მისი მფარველი, ხოლო ხმალი მცველი!..

მეტად სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან დამოკიდებულებაში. საქართველო ეძიებდა რუსეთის მკერდზე ,,მიყრდნობას'', ცოტა სულის მობრუნებას, დასვენებას, რომ ისევ განეგრძო თვითარსებობა. მაგრამ დახეთ მუხანათობას?! ნაცვლად ამისა საქართველო 1801 წელს რუსეთის განუყოფელ და სამუდამო კუთვნილ პროვინციად გამოაცხადა ,,მოკავშირემ''! ამ სახით აეხადა ჩვენს ერს სახელმწიფოებრიობა. ესეც არ აკმარეს: 1811 წელს ჩვენი ეკლესიაც რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს; კათოლიკოზი რუსეთს გადაასახლეს; გენათელ-ქუთათელი გზაში აწამეს. ერს სული ამოჰხადეს და გადაგვარების გზაზე დააყენეს...

მაგრამ ამ მომენტშივე ჩაისახა საქართველოს განთავისუფლების იდეა.
იმ დღიდანვე საქართველოს ეკლესია ჩაება ჩუმ და ანტენსიურ ბრძოლაში რუსთა ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ ბევრი ეტაპი განვლო, ბევრი მსხვერპლიც შეიწირა ზვარაკად, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა: რუსეთის დიდ რევოლუციის ნანგრევებზე 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ პირველმა აღმართა თავისუფლების დროშა! ეკლესიის თავისუფლება წინამორბედი გახდა საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა ბელადებმა დაგვიბრუნეს 1918 წელს 26 მაისს! ამიერიდან **12 მარტი და 26 მაისი** წარუხოცელი თარიღებია ჩვენს ისტორიაში.. ჩვენ ვიცით თანამედროვე სახელმწიფოს ფილოსოფია, ის ვერ იქნება სარწმუნოებრივი ორგანიზაცია, მაგრამ თავისუფალ საქართველოში მისს თავისუფალ ეკლესიასაც არა გაუჭირდება რა. ეკლესია და საქართველო ერთ სამშობლოში მოთავსდება უმტკივნეულოდ. დღეს საქართველოს ეკლესია ლოცვა-კურთხევით აღნიშნავს სამშობლოს თავისუფლების წლის თავს, „ოსანას'' უგალობს ის ახალ საქართველოს: ,,კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა''.

დეკანოზი
ნიკიტა თალაქვაძე

მათი უწმიდესობა
ლ ე ო ნ ი დ ი
კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა, სამშობლო ეკლესიის განთავისუფლების თავდად. მოღვაწე, ნიჭიერი მქადაგებელი და მტკიცე მამულიშვილი.

ს ა ნ თ ე ლ ი

ბნელ ღამეებში, ოჰ, რამდენჯერ გზა გაგინათე,
წინ მიგიძღოდი შუქთა ფენით, დაგედე ტერფლად;
შენი გულისთვის ხან ჩავქერი და კვლავ ავენთე,
ნაწილი ჩემი სხეულისა ვაქციე ფერფლად.

და რომ ვიწოდი რას მომცემდი ნაცვლად ამისა,
ამ ჯილდოსათვის არ ვფიქრობდი მე არასდღეს;
დღეს რომ გიყურებ როგორ მიხდი სამაგიეროს,
მეტს არას გეტყვი, უმადურო, უნდა გრცხვენოდეს!

შიო მღვიმელი

წინასწარმეტყველე-
ბრ განსჭვრიტეს სა-
მშობლოს თავისუ-
ფლების აღდგენა და
მთელი სიცოცხლე
ამ აზრის განხორ-
ციელებას ემსახუ-
რებოდნენ.

აკაკი [1840-1916] ილია [1837-1907]

შვების გვირგვინი
(26—მაისი)

უდაბური ტყე... ბნელა.
ცივა... სული კანკალებს..-
მშიერ მგელთა ღმუილი შიშის რკალს არტყავს არეს. მრავალტანჯული ტყის ქალი საცოდავი სიმორცხვით ჩაკვრია გულში ხშირ ტოტებიან ნაძვს.

მისგან მოელის შველას, ხსნას...

მაგრამ ნაძვს არწივი ეწვია...

ჩამოუქროლა საცოდავ ქალწულს... გულში სასიკვდილოთ ჩაასო სისხლიანი ბრჭყალები...

არ დაინდო, არ შეიბრალა უძლური...

სულთბრძოლაა... კვნესის ქალწული...

უხმობს საშველად დატყვევებულ დობილთ...

მაგრამ... ამაოდ, არსაიდან ხსნა...

ხანგრძლივი სიბნელე...

ქარი კვლავ გესლიანი სიცივით სისინებს...

არწივი კი ქალწულის გულის სისხლში ცდილობს გაითფოს ფეხები...

ბნელეთის მოციქული ჭოტი კი სიამოვნებს საცოდავის ტანჯვით... არ იცის საბრალომ რომ მშიერი არწივი არც მას დაზოგავს..

ქალწული სისხლიდან იცლება... ჭოტი კი დამცინავათ დასჩხავის.-.

ერთი კლანჭის გაქნევა კიდევ და... ქალწული სიკვდილის მანტიით შეიმოსება...

მაგრამ... ამ დროს იელვა...

გამოცდილმა მონადირემ სასიკვდილოთ გაუგმირა გული პირსისხლიან არწივს...

გაიფანტა სასიკვდილოთ წყვდიადი...

გაბრწყინდა...

კუდრაჭა მზის სხივები ქალწულს უკვდავების ბალისკენ იწვევენ...

მომაკვდავმა ქალწულმა ძალა მოიკრიფა...

ჭრილობა ხავსით ამოიშრო...

ვარდისფერად შეიმოსა...

წითელი კისკისით მიეშურება მდელოს...

იზურმუხტებულმა მდელომ მაგრად ჩაიკონა ქანწული.

შროშანი სიხარულით თავს არშიყულად აქნევდა...

ჭრელი პეპლები სიოს არ აკარებდენ...

ბუნება მაისობდა...

მგოსანმა თავის მადლიანი ჩანგი მოიმარჯვა და მჭექარეთ შესძახა არეს: „არ მომკვდარა‘‘...

მას მდელოს ფერიები გამოეხმაურენ და დაადგეს განთავისუფლებულ ქალწულს შვების გვირგვინი...

გრ. საქარიქედელი

26 მაისი

უცხოეთში ვიხილე წითელი დროშა და მომენატრა ჩემი სამშობლო.

სულმა იალქანი გაშალა და, ფიქრთა ზვირთებში შეჭრილი გემი,—არღვევდა ტალღებს, მიისწრაფოდა

ვარდ—ყვავილების თვე ილეოდა, როცა სამშობლოს ხილვით დამტკბარმა, იალქანი წითლად შევღებე—საქართველო 26 მაისს ტყვეობიდან თავდახწეული—ზეიმს იხდიდა.

—ახ ნეტარებავ!.. ესე აღმომხდა პირველი სიტყვა და იალქანი მოწიწებით დაბლა დავხარე, წითელ დროშების პატივსაცემად...

აქაც ლხინობდენ...

ნავთსადგურში დავტოვე გემი და, სადაც ძმანი წითელ ჩოხებში სვამდენ, მღეროდენ. მეც შემოვძახე მრავალჟამიერ...

რა მშვენიერი, რა წარმტაცია ლხინი მაისში.

რა დამავიწყებს, საქართველო ჯვარს რომ იწერდა..

ის ქორწილი ოქროს ასოთი დაწერილია გულის ფიცარზე...

ნეტავ ვინ მიწვდეს ამ დღის შვენებასდა სილამაზეს!.. **შალვა გომართელი**

სახალხო გვარდიის მთავარიშტაბი

სახალხო გვარდიამ სამშობლოს დამოუკიდებლობის საქმეს დიდი ამაგი დასდო

განახლებული სიცოცხლე

რომანი

ქართველ-სომეხთა ომიდან

[ლ. გუდიაშვილის ნახატებით]

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 5)

უპურმარილონი

ქართველი მწერალი ჰაიკანუშას ეშხით ჯერ კიდევ ტკბილსაამო ბურანში იყო, როდესაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობამ აშკარა მწვავე ხასიათი მიიღო. ორივე ერის გაზეთები აღარ მალავდენ ერთი მეორის საწინააღმდეგო მტრულ გრძნობებს. თვით ქართველი მწერალიც ხანდისხან, გონებას რომ დაეკითხებოდა, გუნებაში იტყოდა ხოლმე: ,,ეს ხალხი ძველიდანვე ყველასთან ვერაგი ყოფილა და ვერც ჩვენ გაგვიტანსო,'' მაგრამ ამავე დროს სოციალისტური ქავილი გაურბენდა, გული აუფანცქალდებოდა და იტყოდა: ,,არა, არა! ჩვენს შორის ხიდის ჩატეხვა არ შეიძლებაო.'' ამ აზრს მაშინ უფრო ერწმუნებოდა, როცა ჰაიკანუშას შავი თვალ-წარბი, ბრგე ტანი, სახე-ვარდი და თმა-გიშერი წარმოუდგებოდა ხოლმე.

—იმ ქალსაც გულში ჩავუვარდი,—წარმოსთქვა ერთს მოსაწყენ ჟინჟლიან საღამოს და ჰოვანესასკენ გაემართა,—ეგება ერთი კიდევ ვნახო და თვალს წყალი დავალევინოო...

—გაგიფრინდა ძმაო, გაგიფრინდა!—ღიმილით მიუგო ჰოვანესამ მცირე მოკითხვის შემდეგ.—მერე რა ქალია!! შე დალოცვილო, თუ კი მართლა გულში ჩაგივარდა, ერთი ვერ ჩამჩურჩულებდი!—მე შენ გითრა კაი საქმეს ვერ ვიზავდი თუ! ეგება ამით მაინც გაგვემთელებინა ის წყლულნი ჩვენს მეზობლობას რომ დააჩნდა...

—შენ ხუმრობ, მე-კი უარსა რვიტყოდი. .

—რის ვხუმრობ?!. ვაი რომ ადრე არ ვიცოდი... ერთი კვირა არც-კია რაც ტერტერა თავის ქალით მრევლში წავიდა...

—სადა?

—ბორჩალოში... ის კი არ ვიცი ამ ჟამად სად იქნება: დალეთხაჩინში, ბოლნის ხაჩინში თუ შულავერში.

—ჰმ... მაშ აღარაფერი იქნება?

—ცდა ბედის მონახევრეაო, ეს ხომ თქვენი ანდაზაა.

ქართველი მწერალი ჰოვანესასთან დიდხანს აღარ დარჩენილა და გამოემშვიდობა. გზაში არა ერთმა-ორმა ფიქრმა გაურბინა: ჰაიკანუშას ნახვის სურვილმა ბორჩალოს ნახვაც მოანატრა: ,,ერთი ვნახო მაინც ჩვენი სამშობლოს ეს უძველესი კუთხეთაგანი რა ქვეყანაა..., ესეც არ იყოს იქაურ ამბებს უფრო ახლო გავეცნობი, ხალხს შევისწავლი და იმ ქალსაც თვალს დავკრავო,'' მოიფიქრა და გადასწყვიტა კიდეც დაუყოვნებლივ წასულიყო, მაგრამ ვისთან, რა გზით? აქაც გულისხმამ იხსნა: ჩვენს გენერალ-გუბერნატორ გენ. წულუკიძესთან წავალ, იმ კუთხეს მოვივლი, ვითარცა კორესპონდენტი, და როგორ იქნება, რასაც ვეძებ, ვერა ვნახოვო!!

მეორე დღეს ქართველი მწერალი უკვე გენერალ გ. დ. წულუკიძის სამართველოს წინ იდგა ბორჩალოში.

—შეიძლება თუ არა გენერლის ნახვა?—ჰკითხა კარის მცველს.

—თათბირია, ბატონო, და სრულიად არა სცალიან.

მართლაც ამ დროს გენ. გ. დ. წულუკიძე კარჩაკეტილ ოთახში რავდენიმე მახლობელ პირის თანდასწრებით სომეხთა რწმუნებულებთან თათბირობდა. გენერალი არ იყო გუნებაზე: ძველი ნამსახური მხედარი, ნამდვილი ვაჟკაცი, ქართველი მამულიშვილი, თითქო რაღაც სათამაშო ბურთად გადაქცეულიყო ზოგიერთ ხელისუფალთა წყალობით,—ზოგჯერ სწორედ იმას ასრულებდა, რასაც თითონ არ იზიარებდა, მაგრამ მოვალეობას კი ვერ ღალატობდა. თითქო ნელცეცხლზე შემდგარი ხუფ-დახურული ქვაბია, რომელშიაც დაგროვილი ორთქლი ხუფს ზევითზევით ეზიდება, უნდა ახეთქოს, მაგრამ ხუფზე დამდგარი ლოდი ამაგრებს და ორთქლს გასაქანს არ აძლევსო, სწორედ ასეთი იყო გენერლის სულიერი მდგომარეობა: როგორც მამულიშვილა და მხედარი გულით ერთს გრძნობდა, ხოლო როგორც რესპუბლიკის მოქალაქე და მის მთავრობის ხელებში ჩაბმული მოხელე ძალაუნებურათ ხელფეხ-შებოჭვილი ფართხალებდა...

ორი თვე არც-კია, რაც ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორად დანიშნე და ამ მოკლე ხანშიაც კარგად გაიცნო აქაურ სომეხთა სულისკვეთება, განსაკუთრებით სომეხთა ხელმძღვანელ წრეების და სამღვდელოების ვერაგობა. ბორჩალოს მაზრის ჰაერი საომარ სუნით იყო გაჟღენთილი. ჯერ იყო და—1918 წ. ღვინობისთვეში შერეულმა დელეგაციამ ცხადჰყო სომეხთა მუხანათობა, როცა უმიზეზოდ მიჯნა გადმოლახეს, ცატერნ კორინჯი დაიჭირეს, ჩვენს ჯავშნოსანს დაუშინეს და ერთი კაციც დაგვიხიანეს. ამ დროს სომეხთა ჯარების უფროსის ჰდროს მაგიერ პოლკ. კოროლკოვი მოვიდა საპასუხოდ, ის კოროლკოვი, საქართველოს საწინაღმდეგო პროვოკატორობით რომ ისახელა თავი. მოვიდა და თავისი მიკიბ-მოკიბული პასუხებით უნდოდა პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა. მიუხედავათ ამისა დელეგაციამ სომხებს მოსთხოვა უკან დაიხიეთო სომხებმა თუმცა ამის პირობა დასდეს ისევ დაარღვიეს: მალე კვლავ ერთი მეორეზე სამწუხარო ამბები გამოაშკარავდა: ბორჩალოს გული—შულავერი—მოჯანყეთა ბუდეთ იყო გარდაქცეული. აქ მოეკალათნათ დაშნაკელთა სულის ჩამდგმელთ და ხალხი მხოლოდ საქართველოს საწინააღმდეგო აზრებით იკვებებოდა. სხვადასხვა ერი რომ საქართველოს რესპუბლიკას რითაც შეეძლო ხელს უმართავდა—პურს აწოდებდა თუ სხვა სამსახურს უსრულებდა, სომხები ყოვლას ღონისძიებით ხალხს ასისინებდენ: არც ერთი მარცვალი არ მისცეთ საქართველოს მთავრობასაო. ეს მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელოვანმა სახალხო გვარდიამ და ჯარმა ვალიკო ჯუღელის წინამძღოლობით მთელი შულავერი გადაარჩინა თათრების აკლება-აწიოწებას და ამისგამო სომხებმა ვ. ჯუღელის რაზმს სალმრთოც კი მოართვეს!

გარდა ამის სომხები სამხედრო სამსახურში ან სულ არ უშვებდენ საკენკე ბიჭებს და თუ უშვებდენ ყოველად მახინჯ-დაჯიდებს, ისეთებს, რომელთაც რესპუბლიკის მთავრობა უკანვე ისტუმრებდა, როგორც უვარგისთ: სომხებმა იცოდენ ხერხი, საიდან როგორ მოეკლოთ კანონისთვის, თვით შელავრის კომისარი სანასარ გალეჩიანი სომხეთის მთავრობას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე თვის პირდაპირ სამშობლო-საქართველოს: გარშემოკრებილი ჰყავდა ორმოცდაათამდე შეიარაღებული ბიჭი, ეგრედ წოდებული მილიციონერთა რაზმი, უმეტესად საეკვო პირთაგან შემდგარი, რომელიც მთელ მაზრაში ბატონობდა: მას უფრო უჯერებდნენ, ვიდრე სამაზრო კომისარს. ყოველივე ასეთი საქციელისთვის გენ. წულუკიძემ სანასარ გალეჩიანი რავდენიმე მილიციონერით სამსახურიდან გადაყენა და თბილისს გამოგზავნა დასასჯელად, რომელთა გადასახლებასაც მოითხოვდა. მაგრამ მის მაგიერ, რომ ჩვენს მთავრობას ეს მაგნე ადამიანი მოეშოროებინა, გენ. წულუკიძეს ასეთი მიწერილობა გაუგზავნა: „შინაგან საქმეთა მინ'ტრის ამხანაგმა სამბატარიშვილმა შესაძლოთ სენო, ქ. თბილისში მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფნი—სედრაკ სარქისიანეი, გარეგინ ბოდელიანეი, ეფრემ ჩობანიანეი, არშაკ ოდანეზოვი, გრიქორ ჩარქინოვი, მუკურ კალაშევი, მიხეილ მარიანეი, მიკიჩ ბოშლიანეი, გეორქ პეტროსიანი ღა ბეგლარ გეორქოვი დაბრუნდენ თავის სამშობლოში, ბორჩალოს მაბრაში. ხოლო სანასარ გალეჩიანი თბილისში დარჩება მილიციის ზედამხედველობის ქვეშო. № 20580. ქრისტეშ. 3. დირექტორის მაგიერ. განყოფილების უფროსი, საქმის მწარმოებელი'' [ხელი გაურჩეველი იყო].

—ჰმ!.. დიაღ. ციხის მაგიერ—შინ დაბრუნება, გადასახლების მაგიერ თავისუფლად თარეში.—აი, რითი აჯილდოვებს მთავრობა ჩემს შუამდგომლობას,—სიმწარით წარმოსთქვა გენერალმა: აღდგომა და ხვალაო. ჩაილაპარაკა თავისთვის—აი ენაზოთ, ეს ავაზაკი რა ცეცხლს აგიზგიზებენ...

და სამწუხაროთ ეს მისი წინათგრძნობა მართალდებოდა.

გენერალმა წულუკიძემ ნამდვილი წყაროებით შეიტყო, რომ შულავერს რავდენიმე ათასი თოფი, ზარბაზნები თუ სხვა იარაღი მოეპოვებოდა. ამიტომ შულავერს ალყა შემოარტყა და იარაღი მოსთხოვა, შულავრელებმა მამა-აბრამის ბატკანივით თავი მოიწმინდანეს და გენერალს მთავრობასთან უჩივლეს: ,,გენერალი უსამართლოდ გადაგვეკიდა, იმასა გვთხოვს, რაც არა გვაქვს. ხოლო რაცა გვაქვს —დიდის სიამოვნებით მივართმევთო'' ამის გამო მთავრობის თავმჯდომარემ გენ. წულუკიძეს უბრძანა: ,,ხალხს ნუ შეაწუხებ, იმდენი და ის თოფები ჩაიბირე, რაცა აქვთო.'' სომხებმა ამით ისარგებლეს და გენ. წულუკიძეს რამდენიმე დამტვრეული თოფი მოართვეს.—ეს გარემოება კიდევ მოიგონა გენერალმა, გაბრაზებით გადაფურთხა და მწარედ ამოიგმინა

—მთავრობამ ან სწორედ არ იცის ჩვენი ვითარება, ანუ ჩვენ ალარ გვიჯერებს და საქართველოს მტრებსა ჰყავთ მოჯადოვებულიო.

უფრო მეტად გათავხედდა სოფ. უზუნლიარი და ახლო მახლო სოფლები: აგვი, ამოჩ, აქორი. საიდანაც ახალგაზრდობა ერევანსა და ყარაქლისს გაკრეფილიყო საომრო ხელოვნების შესასწავლად... ეს სოფლები ისე თავსგასულიყვენ, რომ რაც კი საქართველოს სახელს ატარებდა ალარაფერ ინდობდენ: არც ჯარისკაცს არც მილიციონერ არც, სამაყოს დმ სხ, ყაჩაღობა-თავდასხმა მოარულივით მოედვა მთელ მაზრას სომეხთა ვერაგობით დადუხჭირებული სანაპირო რაზმის უფროსი კინტრიძე ბოლოხანს გენერალ წულუკიძეს. სხვათა შორის. ატყობინებდა: სომხებმა ჩვენი გაბიაბრუება, განიარაღება და ჩვენი მოკვლა არ იკმარეს, ჩვენი რაზმის უფროსს როტმისტრ ჟირომსკის გარშემოერტყენ და განგებ თოფები ჰაერში დაუცალეს. ურემზე მჯდომი ჟირომსკი გულგახეთქილი გადმოხტა ურმიდან, ხელები მაღლა ასწია და შეჰღრიალა:

—მე რუსი ვარ, სომხის ქალი მყავს ცოლად, სომეხთა სამტრო არაფერი მაქვს, პირიქით: სომხებს ძლიერ პატივსა ვსცემ, მაგრამ ქართველებს ლუკმა პურისთვის ვემსახურებიო.

გენერალმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ამ სამარცხვინო ნოხსენებას და ჩაილაპარაკა: განა ასეთ კაცებს შეიძლება მიენდოს საჴელმწიფოს საზღვრების დაცვა?''

(გაგძელება იქნება შემდეგ ნოსერში)

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ

ტურფა ია,
შენია მა ფესიფ—
ᲩᲣᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

წითელო არწივო!
მტერთ ეშაწივო,—
მოეკალით დამნდობლო!..

* * *

რაინდი ერის, -ზარი რეკავს ბოლის სიონზე;
ალისფრად ელავს წმინდა დროშა ძველ ბასტიონზე.

* * *

ფრთა ცეცხლ ტალღით დაჭრილს, ჭკვიანს თეთრი ალბეკი
შეიდოთ მნათობთა რესპუბლიკის კალთაში ბუკი.

* * *

ფიერუზ ეთერიო, ბზას შეოთ ხელში მდერს ანგელოზი,
ტლასლოუბა მზე იცინის საქართველოსი.

* * *

ამირას გმირმა—მონობაში დიდხანს, რო დაყო.—
დაღეწ! ხუნდი! სვავთ გუნდი მოსრა, იავარყო.

* * *

იქარგეს ვარდი კაზაფხულის მწვანე ხავერდზე,
ქართველსა დედ ჭეარობს ნაბოლ ოქროვან ვერძზე

* * *

ხურმუხტ-დალ-მარჯნით ამძიმებულ ბუნების დამში,
თავისუფლების ელერის ქნარი... ხ ლის ზეაშში.

* * *

ალალ არწივო!
ორგულთ ამცივო—
მძლეო,
ხსამსოფლო;
სიცოცხლის მანანავ
ტკბილ დედის ნანავ
დეკვნიდთ
ᲡᲐᲛᲣᲝᲤᲚᲝ!.,

26 მაისი Ხ. ᲔᲠᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ

საქართველოს ყოფილი მთავრობა

ფ. გოგიჩაი- გ. გველე- დ. გ. შ. მესხი- გ. ჟურ- ა. გედე გ. მახა გ. ლასხი ნ. ჟორ ა. მდი გ. გიორ- და
შვილი სიანი, აფხაზი შვილი ული ვანიშვილი რაე შვილი დანია ვანი გაძე სხ.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს ელჩები უცხოეთში



აკ. ჩხენკელი (გერმანიაში) | მ. წერეთელი (შვეციაში) | ზ. თევზაია (უკრაინაში) | ნ. ქარცივაძე (ადერბეიჯანში) | გ. ჟურული (ბათომში) | ა. მდივანი (საბერძნეთში) | მ. სუმბათაშვილი (შვეიცარიაში)

საქართველოს დ მფუძნებელ

კრებ ს პრეზ დიუმი

თავმჯდომ. კარლო ჩხეიძე

კ. ჯაფარიძე გ. ნათაძე ე. თაყაიშვილი . ლომთათიძე ს მდივანი ქ შარაშიძე



საქართველოს დამფუძნებელი კრება, შეკრებილი თბ. სასახლეში 1919 წ. მარტის 12 პირველი სხდომა. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე, წინ დამფუძნებელ კრების წევრნი, სტენოგრაფისტები, ერთ მხარეს მთავრობა, მეორე მხარეს დამფუძ. კრების კანცელარიის მოხ.



ბენია ჩხიკვიშვილი
დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწე, ქუთაისის გუბერნიის ნაკოსრული, ქ. თბილისის მოურავი.

დღეს ზეიმია

დღეს ზეიმია, ზეიმია ჩემ რაინდ ერის
დღესასწაულობს ერთ წლის ნეტარ თავისუფლებას,
დღეს კვლავ გაისმის ხმა მქუხარე ამერ იმერის
დღეს სამუდამოთ განამტკიცებს თავის უფლებას...

დღეს ავაჟღერებ ჩემ ფანდურის მგრძნეარე სიმებს,
დღეს ჩემს სატრფოსაც მიულოცავ ამ დღესასწაულს,
დღეს ბედით სრული დავამღერებ ვარდისფერ ჭამნებს,
დღეს ერი ჩემი გადაიცვამს ფერად სამკაულს!..

ვარდისთვე **შალვა მეფანდური**

ნიკო ზ. ელიავა
დამსახურებული პოლიტიკ. მოღვ. საქართველოს ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე.

მ ა ა მ უ ლ ი, რომელთა თაოსნობიზში გამოიცა „ეულო“ ქართულ და თველოს თავისუფ-

ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე
(1872-1913)

გ. დ ე კ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ი († 1910)

გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი

შ ვ ი ლ ნ ი, ბითაც 1903 წ. ბარნალი „საქართველოფრანგულად საქარლების საქადაგებლ

ვ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე († 1909)

ე რ ი ს ზ ე ი მ ი

26 მაისი

(ძღვნად ამხანაგ შალვა კიკნაძეს)

მელას აქვს ხვრელი, ჩიტს ბუდე, კაცსა სამშობლო. ყველას უყვარს თავისი აკვანი...

მეცხრამეტე საუკუნის შაებნელ დღეებში, როცა:

სისხლით მორწყეს მთა და ველი,
შეღება წითლათ მდელო,
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
ჭრნახული საქართველო“,—მარად ტანჯული, სისხლით დაცლილი ჩემი და თქვენი საერთო დედა—ეგ ლამაზი საქართველო—რუსებს გადასცეს. ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლათ მისი სუვერენობა, დამოუკიდებლობა მრიტანეს მსვერპლათ...

გულმკვდარს, მოქანცულს ქართველს დედას დაობლებულ შვილს აკვანთან მიეძინა.

აფროდიტამ ყვავილების კრეფა და გვირგვინების წნა შესწყვიტა

დაბნელდა: ჩაესვენა მზე ბებერი საქართველოსა.

ჩაილს მშობელი ველარ ზრდიდა, მამინაცვალი მას შხამს ასმევდა, გონებას უხშავდა, გადაგვარების გზას აყენებდა.

ოო, რა გულშემზარავი იყო მთელი საუკუნე, რა რიგ მწარეთ „ქროდნენ ქარნი შესაზარნი“!..

საბრალო დედა სიზმრები აღრჩობდა. ღალავდა, სტ ნჯავდა. ის ძალში ბორგავდა, სწუხდა.

ყოველი მისი შეშოშმანება, კვნესა, შეჩქრეა ალაგმეს.

ჩაქრობილ იქმნენ ამბოხებანი იმერეთისა, თიულეთისა..

ბევრს ეგონა ჩვილი მოკვდაო, საქართველომ განისვენაო...

მაგრამ ზღაპრული ქვეყნის ბებერი წინასწარმეტყველი გულს არ იტეხდა: არ მომკვდარა, მხოლოთ ძინავს და ისევე გაიღვიძებსო!

გათამამებული ახალგაზრდობა ტოკავდა, არა სცხრებოდა: მეგობრებო, წინ წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გულიო! .

დიდება რუსეთის რევოლიუციას: მისგან ჩვენ ორგვარი თავისუფლება— პოლიტიკური და ეროვნული — მოვიპოვეთ, განვიმტკიცეთ!

დღეს ეროვნული ღელასწაულია, ერის ზეიმი, მისი სიხარულის დღეა.

დამოუკიდებლობის ვის მავნე გამოსვლები, ანარქია, ამბოხებანი ჩაქრობილია, მოსპობილია.

ვერავინ გაბედავს აშვებული ამირანი კავკასიის დაღრეჯილ ქედს კვლავ მიაჯაჭვოს, დამოუკ დებლობას ყელი გ მოსჭრას!..

არც არავის ყმობა გვინდა, არც არავინ გ ინდა ვიყმოთ.

„ჩვენი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდეთ, ვდნებოდეთ
არ შეგვიძლიან ჩვენ ცანა?..“
გვიხარიან, მოვრალები ვართ, ზეიმის დღეა
„სანეტარო დახსნის ხმები
მოეფინა ზურმუხტ მდელოს...
გაუმარჯოს ბორკილ აყრილს
თავისუფალ საქართველოს!“

ვ ა რ ლ ა მ ძ ი ძ ი გ უ რ ი

ი ო ს ე ბ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ი. ბარათაშვილმა პირველად 1906 წ. რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს თავისუფლების საკითხი აღძრა.

ვ ა რ ლ ა მ გ ე ლ ო ვ ა ნ ი
(1878-1915)

ვ. გელოვანი მეჭე სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს თავისუფლებას ჰოითხოვდა.

ს ა ღ ღ ვ ე ბ რ ა ქ ე ლ ო

(26 მაისის სახსოვრად)

გაუმარჯოს საქართველოს,
ძმის მოდგმას, იმა შვილებს;
გაუმარჯოს ვინც ქვეყნისას
ჭირს და ვარამს ინაწილებს..
გაუმარჯოს ჩვენს მეომართ,
სამშობლოის არწივ-გმირებს,
ვინც მ მულსა ისე უვლის,
როგორც კრუხი თვის წიწილებს!..

ვ ა რ დ ე ნ ყ ი ფ ი ა ნ ი

საქართველო და ჩვენი ფიქრები

დღეს საქართველო დღესასწაულობს თავის დამოუკიდებლობის წლის თავს; დღეს საქართველოს უფლა კეთხეში ერი ეუბნება ამ დღესასწაულს და ასი წლის მონობის შემდეგ პირველად იხდის ზეიმს ძაგრემ რავდენთაც სასისრულო და მანუგეშებელია ეს მოგონება, იმდენად დამაფიქრებელი და მწარე ფიქრების მომგვრელია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. ამიტომ ბევრი ურწმონო თავს ეკუდი ვერ ზეიმობს შესაფერად და ეშვეთ ერის შეფერობად: ფიქრობს: რათ მინდა ისეთი დამოუკიდებლობა, თუ ეუბნი მშიერი მექნება, ჩვენი ხსნა სოციალიზმშია და მისთვის ბრძოლაშია. ამ მიდრეკილებას თუ დაუმატებთ ჩვენი მტრების მხრივ სულთანურს ბრძოლას, მაშინ ჩვენ მივიღებთ ბესიმისტურ უიმედობას და ამ უდიდ სუდიერ კანწუოიდელებს ბეკურს ბაუწეოთ ანგარაში.

პირველად ის უნდა ავდინშნოთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ კერძოთ და საერთაშორისოს მნიშვნელობაზე ძალიან ცოტა დაწერილა ჩვენს დეტერატურაში. ამიტომ ჩვენმა დემოკრატიამ სოციალიზმის დიდებულებისა უფრო მეტი იცის, ვიდრე საერთაშორისოს მნიშვნელობისა,—მაგრამ თუ ბაიხსენებთ ბრძოლასა ეროვნობიის ბრძოლა, თითქმის ეგივე შეიძლება ითქვას და უფრო მეტიც ჩვენს დამოუკიდებლობაზედ. არ შეიძლება არსებობა სოციალიზმის ბრძოლა საერთაშორისო, ამიტომაც, რომ ბალშევიკები სოციალიზმისთვის ბრძოლას უკეშირებენ საერთაშორისოსთვის ბრძოლას. ისინი არა თუ იცვენ საერთაშორისოს, ცდილობენ კანვითარონ კიდეც. მაშ საკითხი: თუ ჩვენში არსებობს ცხოველი მიდრეკილება სოციალიზმისკენ ასრეთვე უნდა არსებობდეს ჩვენი დამოუკიდებლობის კანმტკიცებისკენ. და ვინც მას ბუდგრალად შესდება, ის ამაზე დრო ბუდგრალად ხედება მუშაობ ბერთაანუფლების იდეას და საქმიანობას.

ზოგი მტერი ამასაც ბი ბაიძახის, ადრე თუ ბვიან ისტორიის ჩაბარდება თქვენი დამოუკიდებლობა. მაგრამ ასეთი დაბრძოლი ვერ შეგაშინებს, ვერც დაგვაფიქრებს. შოთა ამბობს: თავსა ახალად ბერვინ იშობს არ საქნელი არ იქნებაო. ჩვენ რაც ბადაგვხდა და უნდა ბადაგვხდეს, მას ვერაფერი შეცვალის. ჩვენი ვალი ის არის რომ ფიცადეთ თვითარსებობას და ფქმნიდეთ მის საახალო ფორმას, ისტორიას. ამ მხრივ ბი დღემდის ბამარჯვებული ვართ და ბეფაშა, შემდეგშიაც ბეფამარჯვებთ.

ეს მოვლენა ისეთი მნიშვნელობისაა ერის ცხოვრებაში, უროშლისთა ერის არსებობა წარმოუდგენელია. მდიდარ ისტორიის ერი მუდამ ცოცხალია და უამისტორიო ხალხი-ბი ერად ვერ ჩაითვლება, მეგდარია. ისტორიის ბერშემო იქმნება ლიტერატურა, შემოქმედება ხელოვანთა და რამოდენადმე ფსიხიკაც—ბი; იგია სული ერისა და ეს სული, ბიმეორებთ, ჩვენ ამ რევოლიუციის ხანაში საამბანლიათოთ დაკარგვა: მაშინ, როდესაც თითქმის მთელი მსოფლიო ნგრევის სურვილში მოიცვა, ჩვენ ამშენებლობით შემოვქმედობთ. და ბანა ეს არ არის იმის თავდები, რომ ორი ათას წლის ერს ბენლა შეუძლიან იცხოვრის უფრო უკეთ, ვინემ წინეთ?! დღეგანდელი საქართველო სიძლიერით ხო არ ჩამოუარდება თამარის დროს ხანას?

მაშ რას ბანაკაშებენ ქვემძრომ-ბაყანი, მგელნა ტყვრის ტყვაში და ათას ბურის მტაცებელნი?

ბევრი მოგვიკამია და ბევრსაც მოვიკამთ. წესდნი წაგდენ და წამოვდენ ქვეშანი დარჩებიანო... დიახ წესლიანი წაგდნენ ჩვენი ქვეყნიდან ბიზანტია, რომი, არაბეთი, მონგოლეთი, მრავალი სხვანი და.. ეკანასკნელად რუსეთი მაგრამ ჩვენკი ბენლა ეს ეცხოვრობთ საკუთარი კულტურით და სახეთა, ამასათვის დრმათ ბეფაშა ძალა ჩვენი თვითარსებობისა და ვისაც იგი არ სწამს, ან მტერია და ან შეუგნებელი.

დღეს ზეიმია ჩვენი მეგდრეკითა ადგომისა და ეველა ქართველი მოგვალეა ქედი ბერსა კრა და შემოსძახოს: საქართველოს ბაუმარჯოს!!

მეუ, მიხა დევ-ძე

ლადო დარჩიაშვილი (1872—1916)
პირველი სოც. დემოკრატი, რომელმაც საქართველოს უფლების აღდგენა აღიარა ეროვნულ-ტერტორიალურ ფაგლებში და საამისოდ ჟურნალიც გამოსცა.

იმ გაზეთის ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელმაც თავიდანვე შინნად სამშობლოს განთავისუფლება დაისახა: თ. ღლონტი, გ. რაკხილაძე, ს. ფირცხალავა. ა. ჯაჯანაშვილი, ს. დადიანი და ქ. რაკეველიშვილი.

ვინ რა აზრისა იყო

საქართველოს განთავისუფლების შესახებ

მგოსანი ალ. გარ. ბავბავაძე (1787—1846) —საქართველო რუსეთს 1783 წ. ტრაქტატის ძალით იმიტომ შეეკრა, რომ თავისუფალი ყოფილიყო და არა მონაო ამიტომაც ერთს ლექსში ამბობს:

„გაეხსნათ გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
რომე მუნით შემოვიდეს მათ შორის განათლება,"

ხოლო როცა რუსთა თვითმპყრობელობამ პირობა დაარღვია ქართველთა წინაშე, მგოსანი მთიულებს შეუერთდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ.

მღ.-მონაზონი ხელაშვილი (1838) ,,კალმასობისა'' და სხვა წიგნების დამწერი, იცავდა სოლომონ ლეონიძის გეგმას საქართველოს შესახებ და ამიტომაც 1824 წ. დასწერა ,,ფარულს საზოგადოების'' გეგმა, რითაც ითხოვდა საქართველოდან რუსთა განდევნას.

სოლომონ დოდაშვილმა (1804—1837) პირველად თბილისში გამოსცა საქართველოს განთავისუფლების პროკლა მაციები.

ფილადელფოს ბერი კიკნაძემ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თუშ—ფშავ—ხევსურეთში განავრცო საქართველოს განთავისუფლების პროკლამაციები, დასწერა ლექსები ,,აღსდეგ გმირთ გმირო'' ,,საქართველომ სთქვა'' და სხ.

ნიკ. ბარათაშვილი (1819—1845)—მთელი თავის პოეზიით საქართველოს დასტრიალებს; ეს ნაყოფია განათლებულ სოლომონ დოდაშვილისა, სიტყვა-კაზმულის კილოთი პირველად ნ. ბარათ. იწყო საქართველოს თავისუფლების შესახებ ქადაგება, სამწუხაროდ საშინელის უიმედობით და ურწმუნოებით იყო გარემოცული: მას გული დარდით ევსებოდა საქართველოს დამონაგების გამო; დიდათ ენატრებოდა საქართველოს თავისუფლება, მისი მოპოვების იმედი კი არა ჰქონდა, რადგანაც მოწინავე ქართველობა გარუსების გზას დასდგომოდა ერთმორწმუნეობის გამო.

მგოსანი ვახტანგ ორბელიანი (1812—1890) მწარედ ჭლოვობდა, რომ საქართველო რუსეთის ხელში ინგრეოდა, ხოლო იმედს არა ჰკარგავდა—საქართველო არ მოისპობა და ერს ამხნევებდა: ქართველებო ნუ გეშინიანთ, ჩვენი ქვეყანა არ დაემხობა, ქართველი ერი არ მოისპობა. მომავალში უსათუოდ აღსდგებაო. ამასვე ამბობს „ორ შენობაში'': ჩვენ აღვსდგებით იმიტომ რომ დიდი წარსული გვაქვს, დიდი ისტორია, რუსეთი—კი აუცილებლივ დაემხობა, რადგანაც მას არც წარსული აქვს, არც ისტორიაო.

მგოსანი გრ. ორბელიანი (1801—1883)—იმ აზრისა იყო, რომ თუ საქართველოს ერში მამულიშვილურმა აზრებმა ფესვი გაიდგა, საქართველოს დავით აღმაშენებელის გიორგი ბრწყინვალის მსგავსნი გამოჩნდებიან და მაშინ საქართველო უეჭველად აყვავდება, ფენიქსებრ განახლდებაო.

ილია ბავბავაძე [1837—1907]—საქართველოს განთავისუფლებით იმედოვნებდა, ვინაიდან პროგრესი, განვითარება და სწავლება ამას გვიქადისო. ქართველი ერის განთავისუფლება აუცილებლივ სწავლა განათლების აღორძინების ხელით მოხდებაო. ეს მით უმეტეს მოხდება, რომ თავისუფლება ყოველი პირის ნათესაფუდარიაო. საქართველოს ტყვეობასაც რუსეთის ხელშა დიდიმანძლი არ აქვს, რადგანაც რუსეთი კულტურით საქართველოზე ბევრით დაბლა დგაბაო.

აკაკი [1840—1915]— წინასწარმეტყველურის შორსმჭვრეტელობით სწამდა საქართველოს განთავისუფლება, ამ რწმენას ერსაც უნერგავდა,—

,,არ მომკდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევ გაიღვიძებსო. მხოლოდ ამისთვის საჭიროა ქართველი ერის მხნეობა, გონებით ამაღლება, მამულიშვილური გათვითცნობიერება, უამისოდ არც ნ. ბარათაშვილის უიმედობა სწამდა, არც ვ. ორბელიანის იმედიანობა. ერის განთავისუფლებისათვის საჭიროა მსხვერპლიც, რადგანაც უმსხვერპლოდ არაფერი გაკეთდებაო.

მამია გურიელი (1836—1961) საქართველოს თავისუფლების იმედით აღვსილი, ყოველთვის ნატრობდა ქართველთა დიდს გონიერობას, მამულიშვილურ შრომასა და მის საშუალებით საქართველოს განთავისუფლებას:

აღსდეგ მამულო, აყვავდი ახლად,
გაშალე ძველებრ შორით ხელები.
სიცოცხლე ჩვენი იხმარე ნამგლად
და ზედ აღზარდე უცხო გმირები!
დიაღ საქართველო უნდა განთავისუფლდეს თავის განათლებულ შვილების ხელითო,
ნეტარ ხსენება ყველა იმათ, რომელთაც ადრეევ განეკრიტეს სამშობლოს განთავისუფლების აუცილებლობა და ერს აქეთ მოუწოდებდნენ... **ზ. ჭიპინაძე**

სამშობლო

გავსწყვიტეთ ჯაჭვი მონური,
ნაღველი უკუ ჰყარეო;
გილოცავ თავისუფლებას,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ისიც გეყოფა რუსებმა
რაც დღე განახვეს მწარეოო;
დღეს აღსდგენ შენი გმირები,
დასტკბი და გაიხარეო!

ვ ი ლ ი კ ი რ ა ლ ი ძ ე

(ბოლო 1933 წელ)

,,ალიონის'' ჯგუფი, რომელიც რ. ს. დ. პ. დროშის ქვეშ საქართველოს ეროვნულ იდეას აღვივებდა და ქართველ ხალხში სამშობლოს სიყვარულს აღვიძებდა: ი. გომართელი, პ. საყვარელიძე, დ. სულიაშვილი—ლიხელი, ნ. ქარცივაძე, გ. მაჭავარიანი—საქარიქედელი და პ. ლექავა (ზოგი სურათი ვერ ვიშოვეთ).

ᲛᲔ Ნ

შენ ციმციმობ და გულს გვითბობ,
ვით თვალ—ლურჯა გაზაფხული;
შენ ხარ ჩაგრულთ ჩამქრალ გრძნობის,
ასანთებად გადმოსული.
შენ გვაყნოსე ია—ვარდი,
აგვიტოკე გულის სიმი;
შენ შეაშრე ჩვენს რეფულზე.
ნამი გრძნობით დანაწვიმი.
შენ მოჰფინე ჩაგრულთ კერას
განთიადის ნაზი სხივი,
შენ გაგვითბე უიმედო
სული სევდით განაცივი.
შენ გვასმინე ტანჯულ მონებს
სანეტარო შვების ჰანგი
და მეც მყისვე გამოვქებნე
მიყანგული ძველი ჩანგი
და დავმღერი. შენმა სხივმა
შეარყია ქედი, მთანი
და შენ ახსენ საუკუნოდ
მიჯაჭული ამირანი...
კვლავ დავმღერი... მე ხომ შენში
ვსპვრეტდი მხოლოდ მთელ სამყაროს,
და ეს გრძნობა სიყვარულის
ჯოჯოხეთმაც ვერ დაფაროს!
იციმციმე, გულის ვარდო,
შენი ჟირი შემეყაროს:
დე, შენ მყავდე უვნებელად,
მე თუნდ მიწა დამეყაროს!..

დარია ახვლედიანისა

ᲛᲔᲪᲮᲚᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲘᲡᲘ

ისტორიის ჩარხი, როგორც უნდა დატრიალდეს საქართველოში 26 მაისი დარჩება საყვარელ საზეიმო დღედ. ამ დღეს განთავისუფლდა მონობისაგან ქართველი ერი და წყეულიმც იყოს ის, ვინც კვლავ მონობის მოუნდომებს ქართველობას.

როცდა ექვს მაისს ქართველი ხალხი დაინახავს თავის მტერსაც და მოყვარესაც. მტერი პირქუშად იუდასავით განდგომილი ივლის გარე-გარეთ და მოყვარე კი ღიმილით მოგვილოცამს დიდებულ დღეს და ჩვენთან ერთად შემოსძახებს: დიდება და გამარჯვება კეთილშობილ ქართველ ერსო!

ქართველი ხალხი არავის არაფერს ედავება, არც არავის აპეკუნობას ეხვეწება: დაგვანებონ თავი და სულ მალე უჩვენებთ ქვეყანას, თუ როგორ უნდა სახელმწიფოს შექმნა, ერებთან სოლიდარობის დამყარება. ის ერი, რომ ლმაც ოცი საუკუნე იცოცხლა და გადიტანა მრავალგვარი უბედურება და ქარტეხილი, მტრებსაც იგერიებდა და სახელმწიფოებრივ ფორმებსაც ჰქმნიდა, დღესაც შესძლებს სხვისი დაუხმარებლივ ცხოვრების მოწყობას ჩვენ გვწამს ჩვენი ძალა და ამიტომ გვინდა დამოუკიდებელი ცხოვრებაც.

ერთი ქართველიც ნუ დარჩენილა-ცოცხალი, თუ კვლავ შეურიგდეს მონობას!

და 26 მაისი არის ჩვენი თავისუფლების დღე. ამ დღეს უნდა იგრძნოს ყოველმა ქართველმა ძალა ეროვნული სიამაყის და სიამოვნების!

ჯარის კაცი სირაძე

დიმ. ყიფიანი რომელიც სამშობლოს უფლების დაცვისთვის გაიწირა.

ა. ჩხენკელი საქართველოს უფლების თავდადებული მებრძოლი რომლის თავმჯდომარეობითაც გაიხსნა ეროვნ. საბჭოს პირველი კრება.

ი. გედევანიშვილი ბათომის პარტიზანული ლაშქრის სარდალი, სამშობლოს აღდგე. მებრძოლი.

თავისუფალნო მოქალაქენო!

ისტორიულმა ბედმა არგუნა პატარა საქართველოს მძიმე და საშინელი უღელი რუსთა მონობისა; არ იყო არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც არ განეცადა საშინელება ამ უცხო ერის ბატონობისა, რასაც აშკარად მიყავდა მთელი ქართველი ერი გადაგვარებისაკენ და უქადიდა მას მთლიან განადგურებას. ამ განსაცდელის დროს ქართული თეატრი იყო ერთ ერთი ოაზისი სადაც ჩქეფდა ერის სული და გაისმოდა მისი საუკეთესო მისწრაფებათა სურვილები. ერის აღორძინებისათვის დიად მსახურთა შორის ბრწყინვალედ იქცევდა იუბილარს ჩვენ საყვარელ მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს. წელს შესრულდა 25 წლისთავი მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა იგი ქართულ სცენაზე. მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ პირობებისა, ნინო ჩხეიძემ შესძლო თავისი მხატვრული ნიჭის სავსებით გადაშლა და

ნინო ჩხეიძე
(წინანდელი სურათი)

ომხიბლავი თამაშით შექმნა განსაკუთრებული განწყობილება ქართულ სცენაზე.

25 წლის განმავლობაში იგი სცენის სიყვარულის ცეცხლით დაუშრეტელ ენერგიით განაგრძობდა ეკლიან გზაზე ლამაზ ქანდაკებების ჩამოსხმას. 25 წლის განმავლობაში მადლიანი წერაქვით თლიდა იგი ნაირ სახეებს. გრძელი და ჯადოსანი ხეივანი, სადაც ანათებენ დატანჯულ, გმირ და უძირო სიყვარულით გამთბარ სახეებს ნათელი ნილაბები.

25 წლის განმავლობაში ხელგადაქდობილი გვასეირნებდა იგი და გვიფაქიზებდა გულს მშვენიერი განცდებით მოკაზმულ ხეივანში,

ნინო ჩხეიძე! რომელ ქართველს არ ულვივის გულში ამ ქართველი სცენის სიყვარულით დაავამდყოფებული ქურუმი ქალის პატივის ცემა?

ვის გულში არ ჩარჩენილა წარუშლელ კვალად ნუცას მიერ განსახიერებული უკვდავ გმირების მოხაზული პროფილები?

ვის გულში არ აქვითინებულმ ნუცას მგრძნობიარე ხმები და არ მოუპარავს დაღლილ თვალებისთვის განაწამები ცრემლები?

ქართველი ერი ვერ დაივიწყებს მათ მოციქულებრივ სახეებს, ვინც საერთო ქარტეხილის და დაქვეითების დროს ჩაუმქრალ ჩირაღდნებით უძღოდა მას. ჩვენ, გუშინდელ მონებს, დღეს საერთო განახლების და თავისუფლების დროს არ შეგვძლიან მოწიწებით და აღფრთოვანებულ პატივისცემით არ გავიხსენოთ ეს სახელები. ქართული თეატრი ხომ ჩვენში არ ემსახურებოდა იმდენად წმინდა ხელოვნებას, რამდენად ეროვნული სულის და შემეცნების გაღვივებას. ქართული თეატრი ხომ ერთ ერთი ტაძარი იყო სადაც ქართველს შეეძლო შესულიყო, დაესვენებია აღელვებული გული და დატკბო სული ქართული სიტყვის სილამაზით.

და ნინო ჩხეიძე მით უფრო სათაყვანებელია ჩვენთვის, რომ მან წმინდა ესთეტიური სახების გარდა შეგვინახა და გააღვიძა მიძინებული ეროვნული გრძნობა დამონებულ ერი შვილებ სა.

ვის არ უნახავს და არ დამტკბარა ნუცას „ზეინაბის“ სახით, ვის გულში არ გამოუწვევია მას წმინდა სიყვარული საქართველოს წარსულისადმი და პატრიოტული გულისცემა სამშობლოს ტანჯვისათვის?

ვის გულში არ აუნთია „ქეთევანის“ სახელს ვაჟკაცური სული ნესტან და ეჯანის განსათავისუფლებლად?

ვინ არ მოხიბლულა „მედეიას“ ქალური რაინდობით და არ ზიარებულა მის გვარ აღგზნებულ სიყვარულით? ვის გულში არ აუხმაურებია მას კოლხეთისადმი რომანტიული სიყვარული?

ვინ არ აუტირებია ნუცას „მარგალიტა გოტიეს“ პატიოსანი ცრემლებით? და ვინ ჩამოთვლის ამ უკვდავ სახეებს, რომ ამშვენებდნენ ქართული თეატრის მწვანე ხეივანს.

25 წლის განმავლობაში დაუსვენებელ შრომით და მხატვრულ გემოვნებით აცოცხლებდა ნუცა ქართულ თეატრს.

25 წლის განმავლობაში ემსახურებოდა იგი ქართულ ხელოვნების ტაძარს და ქართველ ერს.

მარად წვაში და დაუზოგველ სიყვარულში გვხიბლავდა ჩვენ იგი შეუდარებელი თამაშით. ქართველი ერი მოვალეა პირველ ივნისს 25 წლის თავზე გაიხსენოს ამ მადლიანი მოღვაწის სახელი და გამოუცხადოს მას შესაფერისი მადლობა, გამოუცხადა თავის ღრმა პატივისცემა.

გოლონდელი სურ.

თავმჯ. საიუბ. კომ. ივ პურადაშვილი. **ამხან.** კოსტავა. **წევრები:** მ. ც. ვარდოსანიძის ასული, ან. ლ. ქავთარაძისა, ნ. ცაგარეიშვილის ასული, ნ. ბარათაშვილის ასული, დ. ს. კლდიაშვილი, ა. გარსევანაშვილი, შ. აფხაიძე, კ. ბერიძე, ალ. ბოკერია, ალ. თორაძე, გრ. ჯაფარიძე. თ. ჭუმბურიძე. **დრ. საზ. გამგ. წევრ. ნი** მ. ლორთქიფანიძე, ე. მეფისაშვილის ასული. ა. სანიკიძისა, გრ. აბაკელია, ს. ასლანიშვილი, ა. ლოლაძე დ. ჩხეიძე, **ჯ. ჯორჯიკია.. საიუბ. კომ. მდივანი დავით წერეთელი.**

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი

უძღვნი ჩემ საქართველოს

*
* *

ღამეა... ღამე შავი, შავ ტოლომაშში შახვეული, შავად მქშინავი...

სძინავს გარემოს.., სძინავს თვით კავკასიონს...

ერთ დროს ძლევა-მოსილი, მეფურის სიდიადით აღჭურვილი, დიდებით და სახელით განთქმული და მტრების მეხის დამტეხელი, აბჯარ-ასხმული კავკასიონი, დღეს ბურანში გახვეულიყო... მის გათეთრებულ წვერ-ულვაშებს ეთვარის ვერცხლის ღიმილი დაჰფარფატებდა ხან და ხან...

სთვლემდა კავკასიონი...

ერთ დროს სიამაყით ცამდინ აწეული თავი დაეხარა და მწარ ფიქრებს ,,ეფიბოქა..., პატივი დაჰკარგოდა და ძველი მეგობრებიც კი, . პონტოსი, არარატი და უსაზღვრო სივრცე ცისა, პირს არიდებდნენ დაძაბუნებულ კავკასიოსს.

სდუმდა კავკასიონი..

...მაგრამ ხან და ხან ღრმა ბოღმა მოწოლილი, უკმაყოფილოდ შეირხევდა გაჭაღარავებულ თავს და თოვლის უზარმაზარი ზვიმები საშინელი გრიალით დაექანებოდა მის კალთებზე...

ირხეოდა კავკასიონი...

მას მხოლოდ ერთად ერთი ერთგული-ღა შერჩენოდა—ცის მკერდზე მოსრიალე ლაღი ღრუბლები, რომელიც რა მოივლიდა ქვეყნის სხვა მხარეებს, შემოეხვეოდა მის ჩაღუნულ, დამწუხრებულ თავს და შავ ღამის დუმილში უამბობდა უცხო მხარის ამბებს, უამბობდა, თუ რა სიხარულს განიცდიდნენ მისი ტოლ-ამხანაგები, როგორ ბედნიერად სცხოვრობდნენ თავისუფალნი და რა რიგ შეჰხაროდნენ მზის ცხოველ სინათლეს...

უსმენდა კავკასიონი ..

უსმენდა გაორკეცებულ სევდით თავის უფალთ ამბავს და უფრო დაწუხარებული აქვითინდებოდა გული-საკიავად. ღრუბლებიც დასტიროდნენ მის უბედურებას და გათეთრებულ თავს ეპკურებდნენ თავიანთ მეგობრულ ცრემლებს...

...და სტიროდა კავკასიონი. . და სტიროდნენ ღრუბლებიც!..

* *
*

—პონტოს, ძმაო!..—მიუბრუნდა ნაღვლიანად კავკასიონი მის გადაღმა გადაჭიმულ მოუსვენარ ზღვას, რომელიც არ ინდობდა თავის მკერდზე ადამიანთ გემებს და სამუდამო სამარეს უთხრიდა თვის უზომო სივრცეში.—რად დამივიწყე შენი ერთგული მეგობარი? რომ იცოდე, როგორ სწყურიან შენი ალერსი ჩემს ქმუნვარე სულს, რომ იცოდე რა მადლობას შემონწირავ, რომ ერთხელ კიდევ მომეხვიო გრძნობით, რომ ერთხელ კიდევ შემომჩივლო შენი გარდ-სიხარული! მიმიღე პონტოს, შენი ძმა, შეურიგდი მას!..

მაგრამ პონტოსი უფრო მძლავრად აგორებდა ადიდებულ ტალღებს და უფრო გაწამაგებით ლეწავდა ადამიანთა გემებს... მას არ ესმოდა კავკასიონის ჩივილი...

—არარატ, მეგობარო, შენ მაინც გაიგე ჩემი ვედრება, შენ მაინც შემიმსუბუქე გულის ჭრილობა!..

და არარატიც იბრუნებდა პირს...

—ცაო მშობელო, არც შენ გინდივარ განა, შენი დაბეჩავებული შვილი, დიდება-ძლიერება დაკარგული?..

და ცაც ლივლივებდა უსაზღვრო წუხილით.

—ოჰ!.. ამოიკვნესა კავკასიონმა და .

სდუმდა კავკასიონი...

და ღამე, კვლავ ღამე იყო, შეკტოლომაშში შახვეული და შავად მქშინავი...

* *
*

იქექა... მრისხანე ღრუბელმა გრგვინვით გაპო შავ ღამის გულ-მკერდი და მეხის ისრებით დაუფხრიწა მანტია.

კავკასიონმა უკანასკნელად ამოიკვნესა და ცეცხლის ნაპერწკლები გადმოჰყარა თვალებიდან...

შეძრწუნდა არე...

შორს, გადაღმა მიყუჩდა ავ-სულთ ბოროტი ხარხარი და გრიგალმა დაჰქროლა შემზარავად.

ზღვის იქით გამოჩნდა იმედის ღმერთი და ცხოველ-მყოფელი მზის პირველი სხივი მიესალმა კავკასიონს...

აღსდგა კავკასიონი!..

გადიძრო ძილის და ქმუნვის ზეწარი და ამაყ თავზე, კვლავ დაიდგა ამაყი ხელით, დიდების გვირგვინი...

და დღეს წელში გასწორებულმა კავკასიონმა კვლავ მიაბჯინა თავი ზურმუხტ ცას და ფეხ-ქვეშ ფიანდაზად გადეშალა ლაღი პონტოსი...

ამაყია დღეს კავკასიონი და თავისუფალი და მას ვედარ შოახრევინებს ქედს შავი ღამე, შავ ტოლომაშში შახვეული და შავად მქშინავი.

ირჩილ მაჭავარიანი

მ ა რ ც ვ ლ ე ბ ი
[დამაკვირდი]

ვისაც სამშობლო არ ესმის—ხეა ფუტურო, რაიც დასაწველადაც არ გამოდგება.

*

ყოველივე წარმავალია, გარდა სამშობლო ქვეყნის უანგარო სამსახურისა.

*

თუ ქვეყნად უბედური მოიპოება—ეს ის, ვისაც სამშობლო დაუკარგავს.

*

სამშობლოს დამკარგველი ფოთოლია ხიდან მოტაცებული, რომელი ნელნელა სჭკნება და ხმება.

*

სამშობლოს უარმყოფელი ფოთოლსა ჰგავს ქარისგან მოტაცებულს, რომელს არა აქვს ბინა—სუფარი.

*

ადამიანის უდიდესი შვების მომცემი სამშობლოს თავისუფლება:
ვინც უწინარეს ყოვლისა სამშობლოს თავისუფლებას არ განამტკიცებს, იგი თავისა მტერია.

*

თუ გინდა ადამიანათ დაგაფასონ, იცან სამშობლო შენი და შეურაცყოფა მისი არავის დაუთმო.

*

ცაზე მზეა,—დედა მიწაზე სამშობლო. ორივე წყაროა ჭეშმარიტი ცხოვრებისა. **იოსებ არიმათიელი**

მ ა ს ა რ თ ო ლ ვ ი

სად რთველად ტურფა ქალთა, რომლთის სახოვნელადაც მრავალნი საქმრანი მოდიან: დორფნი, ჯორ ტლინნი, მუსიონი, სანიორნი და ეეეინდნი, მეკრამ ერც ერთი არ მოსწონს. ზოგი ბურჟუა, ზოგი ეალბი რესპუბლიკელი, ზოგი იუნკერი, ზოგი ბრიხტი და ხალიფატი. ეეკლუტს კი უნდა სოციალისტი—საქმრო. ასეთა მოდის ჩრდილოეთით „ვინკ“ მაგრამ ისეთა უნაშაა, ულაზათო და წყერ მოუაზესი, რომ... „როგორც მოსვალ სვინოო — ისე წახალ შინაო!!“ **სეზმან.**

რედაქციისკან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ამ ნომერში ვერ მოთავსდა სახლვარ გარეთ საქართველოსთვის პოლიტიკურ მოღვაწეთა სურათი, სამინისტროები, საელჩოები, „საქართველოს“ ჯგუფი, წერილები ჩვენი პოლიტიკური პარტიები, წარსული და სხვა შემდეგ დაიბეჭდება.

26 მ ა ი ს ი

მზემ დიმილით დედამიწას
ოქროს-ფერი სხივი სტყორცნა,
გაახარა და ერთმანეთს
შესთავაზეს ხვევნა—კოცნა.

მიწამ გული გადიღეღა,
აღმოსცენდა ია—ვარდი:
დასტკბა მით და ჩვენც დაგვატკბო,
შეგვიმუსრა გულზე დარდი.

შეიმოსა საქართველო—
ალდგა მკვდრეთით წამებული.
თაი-გულად შეიკონა,
მასში გალობს ღვეს ბულბული,

ავი ღმერთი წამებისა
ჩადნა, ჩაკვდა გაცამტვერდა,
მორჩა ტანჯვას ამირანი
მისი გრდემლი აწ ამტვერდა.

სამშვიდობოდ ქვეყნისათვის
ზე აღმართთა თვისი დროშა
გაუმარჯოს საქართველოს!
მის გმირ შვილებს ვაშა, ვაშა! **დ. გაბრუაშვილი**

ამ ნომერში არ იბეჭდება:
საქართველოს სოციალდემოკრატიული ჯგუფი, რომელმაც პირველად გამოსცა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიული გაზეთი „ხალხის ერთობა“ „ხალხის თავისუფლება“, რომელიც სამშობლოს თავისუფლების იდეას ხალხში ავრცელებდა

საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის შესრულების დღეს, მაისის 26 ვ. გოგიტიძე სინემატოგრაფით აჩვენებს მისგანვე გადაღებულ სახალხო გვარდიას [12 დეკ. გადაღებულს], დამფუძნებელ კრებას და „ქრისტინეს“.

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა

„თეატრი და ცხოვრების“ ფონდისთვის

შაქრო იქიძისგან	—10 მ.
ს. შადურისგან	—15 მ.
გერ. გიგიტიძისგან	—10 მ.
ნ. სულუხიასგან	—5 მ.
უცნობისგან	—50 მ.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით **რედ.**

არჩილ ჯორჯაძის სამარესთან. ამხანაგები ულოცავენ სამშობლოს განთავისუფლებას.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**